

შპს „ჯორჯიან ტექნოლოჯი“-ს

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს „შპს ჯორჯიან ტექნოლოჯი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს „ჯორჯიან ტექნოლოჯი“			
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
	ერთეული: 1 GEL		
	31.12.2019	31.12.2018	შენიშვნა
აქტივები			
მიმდინარე აქტივები, სულ:	2007951	1727746	
ფულადი სახსრები	252261	686068	4.1
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	910810	3700	4.2
მოთხოვნა პარტნიორის წინაშე კაპიტალის შევსებაზე	10000	10000	4.3
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	26515	675949	4.4
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	66000	208422	4.5
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	669232	210	4.6
წინასწარ გადახდილი გადასახადები	73129	143397	4.7
სხვა მიმდინარე აქტივები	4	0	
გრძელვადიანი აქტივები, სულ:	1511974	4020	
ძირითადი საშუალებები	1511974	4020	4.8
სულ აქტივები:	3519925	1731766	
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:	3742416	1742055	
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2376695	1059	4.9
მოკლევადიანი სესხები	1274198	1614436	4.10
საგადასახადო ვალდებულებები	46016	122505	4.7
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	45507	4055	4.11
გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:	0	0	
სულ კაპიტალი:	-222491	-10289	
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	10000	10000	
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	-232491	-20289	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	3519925	1731766	
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 28 სექტემბერს			
დირექტორი _____ აჰმეთ ონერ / Ahmet Oner /			
თანხმდები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი			

შპს „შპს ჯორჯიან ტექნოლოჯი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს „ჯორჯიან ტექნოლოჯი“			
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება			
	ერთეული: 1 GEL		
	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2019	2018	
ამონაგები	9709588	5237867	4.12
რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება	-5714861	0	4.12
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	3994727	5237867	
სხვა საოპერაციო შემოსავლები	10	520	
სულ საოპერაციო შემოსავლები:	3994737	5238387	
მიწოდების ხარჯები	-145431	0	4.13
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-608311	-255322	4.14
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები	-640506	0	4.15
სულ საოპერაციო ხარჯები:	-1394248	-255322	
ფინანსური შემოსავლები	1679	0	
დადებითი საკურსო სხვაობები	0	201727	
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	0	0	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	1679	201727	
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	-1065	-127	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-501713		
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-502778	-127	
მოგება დაბეგრამდე:	2099390	5184665	
მოგების გადასახადის ხარჯი	-346739	-780743	4.16
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან:	1752651	4403922	
მოგება ან ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან	0	0	
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	1752651	4403922	
მათ შორის, მოგება ან ზარალი მისაკუთვნებელი:			
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	1752651	4403922	
არამაკონტროლებელ წილზე	0	0	
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გამოკლებით:	0	0	
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:	1752651	4403922	
მათ შორის, სრული შემოსავალი მისაკუთვნებელი:			
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	1752651	4403922	
არამაკონტროლებელ წილებზე	0	0	
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	-10289	10000	
კაპიტალის გაზრდა	0	0	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-1964853	-4424211	4.16
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-222491	-10289	4.16
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 28 სექტემბერს			
დირექტორი _____	აჰმეთ ონერ / Ahmet Oner /		
თანხმდები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი			

შპს „შპს ჯორჯიან ტექნოლოჯი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს „ჯორჯიან ტექნოლოჯი“			
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება			
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)			
ერთეული: 1 GEL			
საანგარიშგებო პერიოდი			
	2019	2018	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	8818849	5367150	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-4867572	-662404	
გაცემული შრომის ანაზღაურება	-222886	-105600	
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	-210553	-269904	
გადახდილი მოგების გადასახადი	-346739	-780743	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	-70303	-45233	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	3100796	3503266	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-617144	-4175	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-617144	-4175	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
სესხების აღება	664767	1543068	
სესხების დაფარვა	-1732968	-208422	
გადახდილი დივიდენდები	-1866610	-4203000	
სხვა შემოსულობანი / გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)	1687	0	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	-2933124	-2868354	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	15665	55331	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	-433807	686068	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	686068	0	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	252261	686068	
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 28 სექტემბერს			
დირექტორი _____	აჰმეთ ონერ / Ahmet Oner /		
თანხმდები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი			

2019 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ჯორჯიან ტექნოლოჯი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2017 წლის 29 დეკემბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 445523416, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. ლანჩხუთი, ნინოშვილის ქ., N56, ბ. N2. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად 2019 წლის 19 აპრილს.

1.2. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელს და დირექტორს წარმოადგენდა ფიზიკური პირი - აჰმეთ ონერ (U 20161354, 24592777430, თურქეთი).

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ტელემეტრის ნაწილის (სვიჩი) იმპორტ/ექსპორტი.

კომპანიის დამატებით (არაძირითად) ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს სესხის გაცემა, ასევე, სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

კომპანიის ძირითადი ოფისი მდებარეობს ქ. ბათუმში, ზუბალაშვილის N31-ში.

1.4. კომპანია წარმოადგენს საქართველოში დაფუძნებული შემდეგი საწარმოს მშობელ კომპანიას (რომლებიც ერთობლივად იწოდებიან, როგორც „ჯგუფი“) –

შვილობილი საწარმო - შპს „ჯორჯიან ტექნოლოჯი თიზ“, საიდენტიფიკაციო კოდი - 415103578, რეგისტრირებული 2018 წლის 13 სექტემბერს, იურიდიულ მისამართზე - საქართველო, ქ. ფოთი, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, (ნავსადგურის ყოფილი ექსტენსიური განვითარების ზონა) შიდა ნომერი 1U-2.

კომპანიამ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით თვითონ დააფუძნა შვილობილი საწარმო. შვილობილი საწარმოს დირექტორია - აჰმეთ ონერი.

შვილობილი საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს - ტელემეტრის ნაწილის (სვიჩი) იმპორტ/ექსპორტი.

2. საქართველოს ბიზნეს-გარემო

2.1. ჯგუფი საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. აგრეთვე არსებობს საკითხები რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება და მუდმივ ცვლილებებს განიცდიან, რაც დამატებით ბარიერებს წარმოშობს საქართველოში მოქმედი კომპანიებისთვის.

3. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, ჯგუფი წარმოადგენს მესამე კატეგორიის ჯგუფს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, ჯგუფს არ ევალება წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

3.2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ ჯგუფის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია ჯგუფისთვის.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

3.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ჯგუფი შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, ჯგუფის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

3.4. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

3.5. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3.6. ჯგუფის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფისა და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შვილობილი კომპანია

შვილობილი კომპანია არის ის საწარმო, რომელიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად მართოს ორგანიზაციის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა ისე, რომ მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე. წილი შვილობილ კომპანიებში, რომელსაც არ ფლობს ჯგუფი წარმოადგენს უმცირესობის წილს. უმცირესობის წილი წარმოდგენილია კაპიტალში.

კონსოლიდაციასთან დაკავშირებული ელიმინირებული ოპერაციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ოპერაციები, და ნებისმიერი არარეალიზებული მოგება, რომელიც წარმოიქმნება შიდაჯგუფური ტრანზაქციებიდან ელიმინირდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით. შემოსავლები აღიარდება, როდესაც არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, როდესაც მყიდველს გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება საქონელზე, გაწეულია გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და საიმედოდ შეფასებულია საქონლის შესაძლო უკან დაბრუნება.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

ჯგუფის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი

100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება 3 წელზე უფრო ნაკლებ ვადაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება (გარდა მცირევადიანი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა) ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების

საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

მოთხოვნები საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნებს მომსახურებიდან და მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილ გადასახადებსა და წინასწარ გაწეულ ხარჯებს.

სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების დანაკარგი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ.

ხარჯების აღიარება

ჯგუფი გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას.

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (ბალანსში) აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ჯგუფის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი, შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯების ოდენობით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს ჯგუფისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება

ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

- შენობა-ნაგებობები - 25 წელი;
- მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;
- ძალოვანი მანქანები - 8-10 წელი;
- კომპიუტერული ტექნიკა - 4-8 წელი;
- ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 8-10 წელი;
- სპეციალური ინსტრუმენტები - 4-8 წელი;
- სატრანსპორტო საშუალებები - 8-10 წელი;
- სხვა ძირითადი საშუალებები - 2-4 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

ე) შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

გადასახადები

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე.

2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან

გამომდინარე, კომპანიის 2018-2019 წლების მოგება შემცირებულია მოგების გადასახადის მხოლოდ იმ ოდენობით, რაც წარმოიშვა 2018-2019 წელს გაცემული დივიდენდებიდან (მოგების განაწილებიდან).

2018-2019 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15% შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

4. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

4.1. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.19	31.12.18
ფული სალაროში	0	0
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	252261	686068
სულ:	252261	686068

4.2. დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან

ჯგუფის დებიტორული დავალიანება წარმოშობილია მათი ძირითადი საქმიანობის ფარგლებში ექსპორტით მიწოდებული საქონლის შედეგად.

4.3. მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია 10000 ლარად, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ აქვს შევსებული დამფუძნებელ ფიზიკურ პირს.

4.4. გადახდილი ავანსები

ჯგუფს ავანსები გადახდილი აქვს საქონლისა და მომსახურების შესყიდვის მიზნით. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ავანსები გადახდილია სრულად რეზიდენტი პირებისათვის.

4.5. სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

ჯგუფს მოკლევადიანი სესხები აქვს გაცემული ჯგუფის დამფუძნებელ ფიზიკურ პირზე.

4.6. მარაგები

ჯგუფის სასაქონლო - მატერიალური მარაგები შედგება ექსპორტზე გასატანი ძირითადი საქონლის - ელექტრო საზომი ჩიპებისა და იმ სამშენებლო და სამეურნეო მასალებისაგან, რომლებიც განკუთვნილია საკუთარი გრძელვადიანი აქტივების შესაქმნელად.

4.7. წინასწარ გადახდილი გადასახადები და საგადასახადო ვალდებულებები

ჯგუფის წინასწარ გადახდილ გადასახადებში და საგადასახადო ვალდებულებებში ასახულია საანგარიშგებო თარიღის შემდგომ ასახული გადასახადები, საანგარიშგებო თარიღის შემდგომ დაბრუნებული ან დასაბრუნებელი გადასახადები და ჯგუფის ერთიან საგადასახადო ბარათებზე ასახული ზედმეტობა.

4.8. ძირითადი საშუალებები:

	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა-დანადგარები	ძალისხის მანქანები და მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა, კომპ. ტექნიკის და ავეჯის გარდა	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სპეციალური ინსტრუმენტები	სატრანსპორტო საშუალებები	მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით										0
დამატება					85	1610	2480			4175
გასვლა										0
ისტორიული ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					85	1610	2480			4175
აკუმულირებული ცვეთა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით										0
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი					3	101	52			155
აკუმულირებული ცვეთა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					3	101	52			155
ნარჩენი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					82	1509	2428			4020
დამატება	1427474	38611	607	5002	820	17915		25307	260	1515996
გასვლა						350				350
ისტორიული ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1427474	38611	607	5002	905	19175	2480	25307	260	1519821
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		2574	30	122	110	1957	310	2531	58	7692
აკუმულირებული ცვეთა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	0	2574	30	122	112	2058	362	2531	58	7847
ნარჩენი ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1427474	36037	577	4880	793	17117	2118	22777	202	1511974

4.9. ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიმდინარე სავაჭრო ვალდებულებები მთლიანად შედგებოდა რეზიდენტი კომპანიების მიმართ ვალდებულებებისგან, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ვალდებულებები რეზიდენტი კომპანიების მიმართ იყო - 58816 ლარი, ხოლო არარეზიდენტი კომპანიის მიმართ - 2317879 ლარი.

4.10. მოკლევადიანი სესხები:

ჯგუფის მიერ აღებული მოკლევადიანი სესხები მთლიანად შედგება დამფუძნებელი ფიზიკური პირისაგან აღებული უპროცენტო სესხებისაგან.

4.11. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები:

ჯგუფის სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები ძირითადად შედგება გადასახდელი ხელფასებისაგან და მიღებული ერთჯერადი მომსახურებისათვის ასანაზღაურებელი თანხისაგან.

4.12. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ჯგუფის 2019 წლის ამონაგები მთლიანად შედგებოდა ტელემეტრის ნაწილის (სვიჩი) ექსპორტიდან მიღებული შემოსავლებისაგან.

4.13. მიწოდების ხარჯები:

	2019	2018
მარკეტინგული ხარჯები	480	
გადატვირთული პროდუქციის დაზღვევის ხარჯები	17371	
მზა პროდუქციის ტრანსპორტირების ხარჯები	9362	
მზა პროდუქციის შენახვის ხარჯები	665	
საბაჟოზე გაწეული ექსპორტის ხარჯები	4991	
ექსპორტირებული საქონლის ტრანსპორტირება	112562	
სულ:	145431	0.00

4.14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	293784	128160
საპენსიო შენატანი	1429	
საიჯარო ქირა	207024	25673
ელექტროენერგიის ხარჯები	532	
გაზი და წყალი	1244	
დასუფთავება და ანალოგიური ხარჯები	268	
საოფისე ინვენტარი	832	
საკანცელარიო ხარჯი	996	
დაცვა - უსაფრთხოების ხარჯი	723	
კომუნიკაციის ხარჯები	2615	473
იჯარით აღებული ქონების რემონტი	11101	
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	19445	
ცვეთა და ამორტიზაცია	7702	155
სხვა საგადასახადო ხარჯი	415	21
თიზ-ის საწარმოს ყოველთვიური გადასახადი - 4%-იანი გაანგარიშება	1891	8
საბანკო ხარჯი	18868	7092
საბანკო ხარჯები კონვერტაციიდან	9653	44716
ავტომანქანის საექსპლუატაციო ხარჯები	6	
წარმომადგენლობითი ხარჯები	578	
სხვა საერთო ხარჯი	29205	49025
სულ:	608311	255322

4.15. სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები:

	2019	2018
მარაგის გაუფასურების ხარჯი	640506	
სულ:	640506	0

4.16. განაწილებული დივიდენდები, მოგების გადასახადის ხარჯი, კაპიტალი:

კომპანიას 2018-2019 წლებში ჰქონდა მოგება, რომლის ძირითადი ნაწილიც განაწილდა („ესტონური მოდელის“ შესაბამისად) დივიდენდების სახით ამ პერიოდებშივე. მოგების გადასახადის ხარჯი მთლიანად არის წარმოქმნილი კომპანიის მიერ 2018-2019 წლებში განაწილებული დივიდენდებისაგან, რომლებიც კომპანიამ დაბეგრა კანონმდებლობის („ესტონური მოდელის“) შესაბამისად. ჯგუფის ფინანსურ შედეგში გამოკლებულია კომპანიის მიერ განაწილებული დივიდენდები.

4.17. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან:

ტრანზაქციები განხორციელებული დამფუძნებელთან (დირექტორთან):

	დაუფარავი ნაშთი 31.12.2019	დაუფარავი ნაშთი 31.12.2018	ტრანზაქციის დირექტორებთან 2019 წელი
მიღებული სესხები	1208197	1405804	
ხელფასები დასხვა სარგებელი	38000	2000	-96000

4.18. სასამართლო დავები:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთო სასამართლოებში, ჯგუფს არ გააჩნდა მიმდინარე სასამართლო დავები.

4.19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ

4.20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 28 სექტემბერს.

შპს „ჯორჯიან ტექნოლოჯი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	31.12.2019	31.12.2018	შენიშვნა
აქტივები			
მიმდინარე აქტივები, სულ:	2007951	1727746	
ფულადი სახსრები	252261	686068	4.1
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	910810	3700	4.2
მოთხოვნა პარტნიორის წინაშე კაპიტალის შევსებაზე	10000	10000	4.3
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	26515	675949	4.4
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	66000	208422	4.5
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	669232	210	4.6
წინასწარ გადახდილი გადასახადები	73129	143397	4.7
სხვა მიმდინარე აქტივები	4	0	
გრძელვადიანი აქტივები, სულ:	1511974	4020	
ძირითადი საშუალებები	1511974	4020	4.8
სულ აქტივები	3519925	1731766	
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:	3742416	1742055	
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2376695	1059	4.9
მოკლევადიანი სესხები	1274198	1614436	4.10
საგადასახადო ვალდებულებები	46016	122505	4.7
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	45507	4055	4.11
გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:	0	0	
სულ კაპიტალი	-222491	-10289	
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	10000	10000	
დაგროვილი მოგება / დაუჯარავი ზარალი	-232491	-20289	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	3519925	1731766	
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 28 სექტემბერს			
დირექტორი _____	აჰმეთ ონერ / Ahmet Oner /		
თანხმლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი			

შპს „ჯორჯიან ტექნოლოჯი“

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	ერთეული: 1 GEL		შენიშვნა
	საანგარიშგებო პერიოდი 2019	2018	
ამონაგები	9709588	5237867	4.12
რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება	-5714861	0	4.12
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	3994727	5237867	
სხვა საოპერაციო შემოსავლები	10	520	
სულ საოპერაციო შემოსავლები	3994737	5238387	
მიწოდების ხარჯები	-145431	0	4.13
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-608311	-255322	4.14
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები	-640506	0	4.15
სულ საოპერაციო ხარჯები	-1394248	-255322	
ფინანსური შემოსავლები	1679	0	
დადებითი საკურსო სხვაობები	0	201727	
სხვა გაუვალისწინებელი შემოსავლები	0	0	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	1679	201727	
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	-1065	-127	
ურყოფითი საკურსო სხვაობები	-501713		
სულ არასაოპერაციო ხარჯები	-502778	-127	
მოგება დაზღვევამდე:	2099390	5184665	
მოგების გადასახადის ხარჯი	-346739	-780743	4.16
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან:	1752651	4403922	
მოგება ან ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან	0	0	
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	1752651	4403922	
მათ შორის, მოგება ან ზარალი მისაკუთვნებელი:			
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	1752651	4403922	
არამაკონტროლებელ წილზე	0	0	
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გამოკლებით:	0	0	
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:	1752651	4403922	
მათ შორის, სრული შემოსავალი მისაკუთვნებელი:			
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	1752651	4403922	
არამაკონტროლებელ წილებზე	0	0	
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	-10289	10000	
კაპიტალის გაზრდა	0	0	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-1964853	-4424211	4.16
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-222491	-10289	4.16

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 28 სექტემბერს

დირექტორი



აჰმეთ ონერ / Ahmet Oner /

თანხმდები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

შპს „ჯორჯიან ტექნოლოჯი“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)ერთეული: 1 GEL
საანგარიშგებო პერიოდი
2019 2018

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:

მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები
გაცემული შრომის ანაზღაურება
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)
გადახდილი მოგების გადასახადი
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან

8818849 5367150
-4867572 -662404
-222886 -105600
-210553 -269904
-346739 -780743
-70303 -45233
3100796 3503266

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან

-617144 -4175
-617144 -4175

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:

სესხების აღება
სესხების დაფარვა
გადახდილი დივიდენდები
სხვა შემოსულობანი / გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან

664767 1543068
-1732968 -208422
-1866610 -4203000
1687 0
-2933124 -2868354

ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)

15665 55331

ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:

-433807 686068

ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:


686068 0

ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:

252261 686068

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 28 სექტემბერს

დირექტორი



აჰმეთ ონერ / Ahmet Oner /

თანხმდები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი